საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/5/1592

2025 წლის 19 სექტემბერი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტუღუში – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: იბრაჰიმ მუხტაროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელის წარმომადგენელი – მალხაზ კაპანაძე, ასევე, მალხაზ კაპანაძის მინდობილი პირი არტურ განიევი; მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ნინო შარმანაშვილი და ლევან ღავთაძე; საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე თამთა ზაალიშვილი და საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი გივი ბაღდავაძე.

I
აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1592) მომართა იბრაჰიმ მუხტაროვმა. №1592 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2021 წლის 19 აპრილს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2023 წლის 17 მარტს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის №2/1/1592 საოქმო ჩანაწერით №1592 კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. №1592 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2023 წლის 5 და 6 ივლისს.

2. №1592 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი

პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „ ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება სამინისტრომ უნდა განიხილოს საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა“.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვისა.

5. №1592 კონსტიტუციურ სარჩელის თანახმად, იბრაჰიმ მუხტაროვი არის ოპოზიციური პარტია „ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის“ წევრი, ეკავა აღნიშნულ პარტიაში სხვადასხვა თანამდებობა და აქტიურად მონაწილეობდა აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის გამოც იგი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური დევნის მსხვერპლი აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ. კერძოდ, მოსარჩელე მუდმივად განიცდიდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას სახელისუფლებო ორგანოთა მიერ, რაც გამოიხატებოდა მის ფარულ მიყურადებასა და თვალთვალში. არაერთხელ მომხდარა მოსარჩელის უკანონოდ დაკავება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რასაც მოჰყვებოდა დაკითხვები პოლიციისა და უშიშროების ორგანოებში არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა, წამება და ფსიქოლოგიური ტერორი.

6. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე ფიზიკური გადარჩენის მიზნით იძულებული გახდა, უკანონოდ გადმოეკვეთა აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარი და საქართველოში ეძია სამართლებრივი დაცვა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იბრაჰიმ მუხტაროვი დაბინავდა თავის ბიძასთან, აფგან მუხთარლისთან ქალაქ თბილისში, სადაც მათ დაიწყეს აქტიური საქმიანობა ჟურნალისტიკის სფეროში. 2017 წელს საქართველოში აზერბაიჯანის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელთა საქმიანობის შედეგად, იბრაჰიმ მუხტაროვის ბიძა გაუჩინარდა და მეორე დღეს აღმოჩნდა აზერბაიჯანის ბაქოს ციხეში, ხოლო იბრაჰიმ მუხტაროვი დაკავებულ იქნა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით და სასამართლოს მიერ მას მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც მან მოიხადა და საპატიმრო დატოვა 2020 წლის სექტემბერში.

7. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, 2020 წლის 24 სექტემბერს საპატიმროს დატოვებისთანავე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, იბრაჰიმ მუხტაროვი ისევ დაკავებულ იქნა და მოთავსდა საექსტრადიციო პატიმრობაში. აზერბაიჯანის პროკურატურის მიერ იბრაჰიმ მუხტაროვი ბრალდებულად არის ცნობილი მკვლელობის მუხლით. მოსარჩელის პოლიტიკური სტატუსის, მის მიმართ აზერბაიჯანში სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან არსებული დამოკიდებულების და აზერბაიჯანის ციხეში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, იბრაჰიმ მუხტაროვს არ სურდა დაბრუნებულიყო წარმოშობის ქვეყანაში, ვინაიდან, მისი პოზიციით, იგი დაექვემდებარება არაადამიანურ მოპყრობას, წამებას და მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა რეალური საფრთხე.

8. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ 2020 წლის 23 ოქტომბერს იბრაჰიმ მუხტაროვმა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს და მოითხოვა საქართველოში პოლიტიკური თავშესაფარი. მოსარჩელის განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში და განხილული იქნა, რის საფუძველზეც, მოსარჩელეს თავშესაფრის მინიჭებაზე უარი ეთქვა.

9. მოსარჩელე მიუთითებს, რომ განცხადების განხილვის პროცედურა მის მიმართ ჩატარდა დისტანციურად, სატელეფონო კავშირის საშუალებით. იბრაჰიმ მუხტაროვი შესაძლებლობას იყო მოკლებული, ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარედგინა მის ხელთ არსებული სრული მტკიცებულებები და ინფორმაცია, ასევე, მისი მხრიდან, არაერთხელ მოთხოვნილი იქნა თარჯიმნის აცილება, ვინაიდან თარჯიმანი განზრახ თუ უნებლიედ არ თარგმნიდა არც იბრაჰიმ მუხტაროვის განცხადებებს, არც მიგრაციის სამსახურის თანამშრომლის განმარტებებს. იბრაჰიმ მუხტაროვის ყველა

მოთხოვნა ოქმების თარგმანთან და ნათარგმნ მდგომარეობაში მისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, დარჩა განუხილველად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საერთო სასამართლოში შესაგებელზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ოქმები და ჩანაწერები რადიკალურად განსხვავდება იბრაჰიმ მუხტაროვის მიერ მიწოდებული ინფორმაციისაგან, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მიერ განზრახ თუ უნებლიედ, თარჯიმნის ბრალეულობის გამო თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებები გადმოცემულია არასწორად ან/და არასრულად. მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ მომხდარა განხილვის პროცედურის აუდიოჩაწერა. ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეაფასა და არ განიხილა მოსარჩელესთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მოსარჩელეს უარი ეთქვა თავშესაფრის მინიჭებაზე.

10. კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლებას, ვინაიდან ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირების მიმართ დადგენილია განცხადების განხილვის ერთთვიანი ვადა, ამავე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით კი საერთაშორისო დაცვის მაძიებელი სხვა პირებისთვის განსხვავებული ვადაა განსაზღვრული. კერძოდ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ჩვეულებრივი წესით უნდა განიხილოს მისი რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 9 თვით, თუ: ა) გამოვლინდა რთული ფაქტობრივი და იურიდიული საკითხები; ბ) საერთაშორისო დაცვაზე განცხადება სამინისტროს ერთდროულად მრავალმა უცხოელმა ან/და მოქალაქეობის არმქონე პირმა წარუდგინა, რაც ართულებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების 6 თვის ვადაში განხილვას“. ამავე კანონის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 21 თვეს“.

11. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლებას. თავშესაფრის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, მოსარჩელეს კანონით აკისრია მტკიცების ტვირთი, თუმცა, საგულისხმოა, რომ მოსარჩელე იმყოფება პენიტენციური დეპარტამენტის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მას შეზღუდული აქვს თავისუფლად გადაადგილების უფლება. ამავე დროს, მოსარჩელეს საკუთარ ადვოკატთან, რომელიც აზერბაიჯანში იმყოფება, „პატიმრობის კოდექსის“ შესაბამისად, შეზღუდული აქვს სატელეფონო კომუნიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთთვიანი განხილვის ვადის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის, მოსარჩელის მხრიდან, მტკიცების ტვირთის უნაკლოდ შეუსრულებლობის პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის სამართლიანად განხილვის შესაძლებლობას.

12. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, დღეის მდგომარეობით, იბრაჰიმ მუხტაროვი ექსტრადირებულია აზერბაიჯანში და მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა. მისი პოზიციით, როდესაც საერთაშორისო დაცვის განცხადებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია მხოლოდ ზეპირსიტყვიერი განმარტება, უმეტეს შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო არ მიიჩნევს დასაბუთებულად მხარის პოზიციას და არ კმაყოფილდება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა. ხშირ შემთხვევაში პირი, რომელიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებს, ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე ტოვებს მისი წარმოშობის ქვეყანას და პატიმრობის პირობებში, კიდევ უფრო გაძნელებულია, წარმოშობის ქვეყანაში, შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვება მტკიცებულების სახით. განმეორებით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენა, ასევე არ წარმოადგენს ეფექტიან მექანიზმს, რადგან ანალოგიური ზეპირსიტყვიერი განმარტების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის არსებითად განხილვაზე უარს აცხადებს.

13. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსტრადიციის პროცედურა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რაც საერთაშორისო დაცვის შესახებ გადაწყვეტილების შემჭიდროებულ ვადებში განხილვის საჭიროებას განაპირობებს, თუმცა აღნიშნული *a priori* არ მიუთითებს საკითხის არაჯეროვნად გადაწყვეტაზე. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის

განხილვა ხორციელდება ანალოგიური პროცედურით, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო დაცვის მაძიებელი სხვა პირებისთვის. პროცედურა მოიცავს განცხადებით მიმართვის, ანკეტირებისა და გასაუბრების ეტაპებს და განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირებისთვის გათვალისწინებულია შემჭიდროებული ერთთვიანი განცხადების განხილვის ვადა, რაც მათი განცხადების განხილვის პრიორიტეტულობაზე მიუთითებს და განპირობებულია ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა სტატუსით.

14. მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართვა აჩერებს ექსტრადიციის პროცესს. საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის ვადის გაზრდა კი საფრთხეს შეუქმნის საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი პირების ექსტრადიციის პროცედურის ეფექტიან განხორციელებას, რადგან გაჩნდება რისკი, რომ საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვა ვერ მოესწრება საექსტრადიციო პატიმრობისთვის განსაზღვრულ მაქსიმალურ ვადაში (9 თვე), ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი გათავისუფლდება პატიმრობიდან და მიიმალება. საექსტრადიციო პატიმრობას დაქვემდებარებული პირებისთვის ერთთვიანი ვადა არის საკმარისი მათი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადების სრულყოფილად განსახილველად. აღნიშნული ვადა ასევე საკმარისია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებაშეფარდებული ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირებისთვისაც, რომელთა მიმართაც ნებისმიერ დროს შეიძლება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საჭიროება დადგეს დღის წესრიგში. კანონმდებელს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ერთთვიანი ვადა რომ განესაზღვრა, მხოლოდ საექსტრადიციო პატიმრობას დაქვემდებარებული პირებისთვის, აღნიშნული, დისკრიმინაციულ პრაქტიკას დაამკვიდრებდა.

15. მოპასუხის მითითებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირებისთვის საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის ვადის გაზრდის შემთხვევაში, კანონმდებელს მოუწევს იმგვარად მოაწესრიგოს საკანონმდებლო სივრცე, რომ ექსტრადიცია და საერთაშორისო დაცვის საკითხი ერთმანეთს არ დაუკავშიროს და საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვამ აღარ შეაფერხოს პირის ექსტრადიციის პროცედურა, რაც მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს. არსებობს ევროპული სახელმწიფოები, რომლებსაც მსგავსი საკანონმდებლო მოწესრიგება გააჩნიათ, თუმცა პირის სამართლებრივ ინტერესებს სწორედ ის მოდელი ერგება უკეთესად, რომელიც გამორიცხავს ექსტრადიციის განხორციელებას საერთაშორისო დაცვის პროცესის ამოწურვამდე.

16. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა საერთაშორისო დაცვის განაცხადის შემჭიდროებულ ვადაში პრიორიტეტულად განხილვა, სწორედ მათ უფლებრივ ინტერესებს იცავს, რადგან საერთაშორისო დაცვის განცხადების დაკმაყოფილება იწვევს პირის გათავისუფლებას. პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვას ემსახურება, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა საერთო სასამართლოებში, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საერთაშორისო დაცვაზე უარის საჩივარი განიხილება ორი თვის ვადაში, სააპელაციო სასამართლოში კი საჩივრის განხილვის ერთთვიანი ვადა არის განსაზღვრული. პროცესი წარიმართება ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესების საფუძველზე და სასამართლო არ ფერხდება, პროაქტიულად მოიპოვოს მტკიცებულებები საქმეზე. სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადება, მათ შორის, იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ საქმეზე წარმოდგენილია ახალი მტკიცებულებები.

17. მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები, რომლებიც მოითხოვენ საერთაშორისო დაცვას და საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი სხვა პირები არ წარმოადგენენ არსებითად თანასწორ პირებს, რადგან, ერთი მხრივ, აღნიშნული პირები ექვემდებარებიან ექსტრადიციას და მათ მიმართ დაწყებულია ექსტრადიციის სამართლებრივი პროცედურა, სადაც მონაწილეობს სასამართლო, პროკურატურა და იუსტიციის მინისტრი, ხოლო მეორე შესადარებელი ჯგუფის მიმართ ექსტრადიციის პროცესი არ ხორციელდება, ისინი იმყოფებიან საქართველოში, ექსტრადიციის საფრთხე არ ემუქრებათ და იყენებენ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ ბერკეტს, მოითხოვონ თავშესაფარი საქართველოში. შესაბამისად, შესადარებელი პირების მიმართ ვრცელდება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი.

18. მოპასუხის პოზიციით, თუ სასამართლო ზემოაღნიშნულ პირებს მაინც მიიჩნევს არსებითად თანასწორად, აღნიშნულ შემთხვევაში, განსხვავებული მოპყრობის შეფასებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს რაციონალური დიფერენცირების ტესტი, რადგან ექსტრადიციას დაქვემდებარებული

პირის სტატუსი არ წარმოადგენს კლასიკურ ნიშანს და სახეზე არ გვაქვს მაღალი ინტენსივობის მქონე დიფერენცირება, რადგან პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა გამოიხატება მხოლოდ განცხადების განხილვის ვადებში. მაღალ ინტენსივობად შესაძლოა მიჩნეულიყო შემთხვევა, თუ საკითხი საერთოდ არ წყდება რომელიმე შესადარებელი ჯგუფის მიმართ.

19. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოპასუხე მხარის შუამდგომლობით, დაიკითხა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი გივი ბაღდავაძე. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის ჩვენების თანახმად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დადგენილია, რომ პირის ექსტრადიცია მისი წარმოშობის სახელმწიფოში შეუძლებელია, თუ სრულად, ყველა ინსტანციის სასამართლოს ჩათვლით, არ დასრულებულა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურები. შესაბამისად, იუსტიციის მინისტრი, ექსტრადიციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ვალდებულია, დაელოდოს საერთაშორისო დაცვის პროცესის სრულ ამოწურვას. რეფორმამდელი პერიოდის პრაქტიკით, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განხილვის პროცესი შესაძლოა გაგრძელებულიყო ორ წელზე მეტხანსაც კი, რაც არსებითად აღემატებოდა საექსტრადიციო პატიმრობის კანონით დადგენილ მაქსიმალურ, 9-თვიან ვადას.

20. საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საექსტრადიციო საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 90-95%, დაკავშირებულია პირის პატიმრობასთან, რაც განპირობებულია ძებნილი პირის მიმალვის მაღალი რისკით. საერთაშორისო დაცვის პროცედურების ხანგრძლივობის გამო, 9-თვიანი საექსტრადიციო პატიმრობის ვადა ხშირად იწურებოდა ისე, რომ ექსტრადიციის საკითხი გადაწყვეტილი არ იყო. ეს კი იწვევდა იმას, რომ სახელმწიფო იძულებული ხდებოდა, პატიმრობის ვადის ამოწურვის გამო, გაეთავისუფლებინა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები, ზოგჯერ გირაოს გამოყენებით. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ გზით გათავისუფლებულ პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად, ერთ-ერთ პერიოდში 40 პირიდან 34 მიიმალა, რის გამოც მათი ექსტრადიცია შეუძლებელი გახდა. აღსანიშნავია, რომ მიმალულ პირებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იძებნებოდნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენისთვის, როგორიცაა მკვლელობა, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), გაუპატიურება და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა. შესაბამისად, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განხილვის ერთთვიანი, შემოკლებული ვადა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირებისთვის, ემსახურება ექსტრადიციის პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, ექსტრადიციის ევროპული კონვენციით, ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან და კეთილსინდისიერ შესრულებას, აგრეთვე, ნაცვალგების პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებას.

21. საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ექსტრადიციის პროცესი მიმდინარეობს, საერთაშორისო დაცვის პროცედურისგან დამოუკიდებლად, სასამართლო ასევე იკვლევს და აფასებს პირის მიმართ დევნის, წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის რისკების არსებობას. პირს, რომლის მიმართაც იწყება საექსტრადიციო პროცედურა, დაუყოვნებლივ განემარტება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლების შესახებ და, მისი სურვილის შემთხვევაში, შესაბამისი განცხადება, უმოკლეს ვადაში, როგორც წესი, მაქსიმუმ სამ სამუშაო დღეში, ეგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს. იმ შემთხვევაში, თუ პირს მიენიჭება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი, ექსტრადიციის პროცესი დაუყოვნებლივ წყდება და პირი თავისუფლდება პატიმრობიდან. სადავო ნორმა, რომელიც ერთთვიან ვადას ადგენს, ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ექსტრადიციას ითხოვს არა პირის წარმოშობის ქვეყანა, არამედ მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო. ამგვარ ვითარებაშიც, აუცილებელია პირის წარმოშობის ქვეყანასთან მიმართებით დაცვის საჭიროების დადგენა, რათა შეფასდეს მესამე სახელმწიფოს მიერ ამ პირის შემდგომი რეექსტრადიციის რისკები მისი წარმოშობის ქვეყანაში, რაზეც საქართველოს თანხმობაა საჭირო.

22. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე პოზიცია წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ თამთა ზაალიშვილმა. საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ერთთვიანი ვადა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქმის განხილვისთვის აითვლება არა თავშესაფრის მაძიებლის მიერ განცხადების წარდგენის მომენტიდან, არამედ იმ დროიდან, როდესაც

სამინისტრო საქართველოს პროკურატურისგან მიიღებს კონკრეტული პირის შესახებ ოფიციალურ საექსტრადიციო მასალებს. საექსტრადიციო მასალების მიღებამდე მოცდა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ეს დოკუმენტაცია შესაძლოა, შეიცავდეს თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა, მაგალითად, დეტალები სავარაუდო დანაშაულის თაობაზე, რაც შესაძლოა, გახდეს პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად. ამგვარი მიდგომა, ამავდროულად, ორიენტირებულია თავშესაფრის მაძიებელზე, რადგან მას ეძლევა დამატებითი დრო საკუთარი მოთხოვნის და არგუმენტაციის ჩამოსაყალიბებლად, საქმის დაჩქარებული წესით განხილვის დაწყებამდე. ერთთვიანი ვადა წარმოადგენს იმპერატიულ საკანონმდებლო მოთხოვნას და შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, გაახანგრძლივოს იგი ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა შემთხვევებში.

23. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მითითებით, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნების შეფასებისას, განსაკუთრებით დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში, სამინისტრო დოკუმენტურ მტკიცებულებებს არ განიხილავს როგორც ერთადერთ ან უმთავრეს ფაქტორს და ძირითადი აქცენტი კეთდება განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობაზე. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი ითვალისწინებს „ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის“ პრინციპს, თუკი დაკმაყოფილებულია გარკვეული პირობები, მათ შორის, თუ განმცხადებელმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად და წარმოადგინა ყველა რელევანტური ინფორმაცია. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება საშუალებას აძლევს განმცხადებლებს, განმარტონ გარკვეული დოკუმენტების წარუდგენლობის მიზეზები და კრძალავს მათ იძულებას, დაუკავშირდნენ წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებას, თუ ეს მათთვის რისკის შემცველია. ამასთანავე, კანონის 28-ე მუხლის თანახმად, მტკიცების ტვირთი თანაბრად ნაწილდება განმცხადებელსა და ადმინისტრაციულ ორგანოს (შსს) შორის; თუ სამინისტრო არ იზიარებს განმცხადებლის პოზიციას, იგი ვალდებულია, წარმოადგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. პროცედურული გარანტიები მოიცავს თავშესაფრის მაძიებელთა დეტალურ ანკეტირებასა და გასაუბრებას შსს-ს კვალიფიციურ სპეციალისტებთან, თარჯიმნის დახმარებით და პროცესის აუდიოჩაწერით, გამჭვირვალობისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. სამინისტროს ასევე გააჩნია სპეციალიზებული დანაყოფი, რომელიც ამზადებს და აანალიზებს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

24. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საქართველოს საერთაშორისო დაცვის სისტემა, მათ შორის, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთათვის განკუთვნილი პროცედურები ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღიარებულია როგორც სამართლიანი და ეფექტიანი, რაზეც მიუთითებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობა და შსს-ს სპეციალისტების რეგულარული გადამზადება ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს მიერ. განმცხადებლებს თავიდანვე აქვთ ადვოკატის ყოლის უფლება, ხოლო სამინისტროს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სასამართლოში გასაჩივრებისთვის მათთვის ხელმისაწვდომია უფასო იურიდიული დახმარება. ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს ორი ინსტანციის, სადაც პროცესი ინკვიზიციურია, რაც იძლევა ახალი მტკიცებულებების წარდგენისა და განხილვის შესაძლებლობას; სასამართლოს შეუძლია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს სამინისტროს ან პირდაპირ დაავალოს განმცხადებლისთვის სტატუსის მინიჭება. პრაქტიკაში, საერთაშორისო დაცვა მინიჭებია პირებს, მათ შორის, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირებს, დოკუმენტური მტკიცებულებების არასრული წარმოდგენის პირობებშიც, მათი მონათხრობის სანდოობიდან გამომდინარე. სამინისტრო ასევე უწევს დახმარებას განმცხადებლებს უფლებებისა და პროცედურების განმარტებით და, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული ინფორმაციის გადამოწმებით, თუკი ამას თავად განმცხადებელი ვერ ახერხებს. ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, დაასაბუთოს საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და განმარტოს, თუ რა მიზეზით არ იქნა თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სანდოდ და საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის საკმარის საფუძვლად მიჩნეული

II
სამოტივაციო ნაწილი

1. განსახილველ საქმეზე მოსარჩელე სადავოდ ხდის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და მე-18 მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით.

2. სადავო ნორმა განსაზღვრავს საერთაშორისო დაცვაზე ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირის მიერ წარდგენილი განცხადების განხილვის ვადას, რომელიც შეადგენს საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვეს.

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.

4. მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანი განხილვის უფლებას. კერძოდ, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე ადმინისტრაციული წარმოების ერთთვიანი ვადა არ წარმოადგენს საკმარისი დროის პერიოდს, რათა განმცხადებელმა უზრუნველყოს თავისი პოზიციის გასამყარებლად აუცილებელი მტკიცებულებების მოძიება და ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა. მოსარჩელე, ასევე მიუთითებს, რომ სადავო ნორმა არსებითად თანასწორი პირების მიმართ ადგენს უთანასწორო მოპყრობას, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეზღუდულ, ერთთვიან ვადაში განხილვით, რადგან ზოგადი წესით მიმდინარე ანალოგიური წარმოების ვადა შეადგენს 6 თვეს. მოსარჩელის პოზიციით, განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება და, შესაბამისად, დისკრიმინაციულია.

5. ამდენად, მოსარჩელე მხარის მოთხოვნის გათვალისწინებით, ნათელია, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტა მოითხოვს სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას სხვადასხვა შინაარსის კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასებს.

1. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით

1.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

6. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის დროულად და სამართლიანად განხილვის უფლება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ქმნის კონსტიტუციური უფლებების ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესუალურ გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-63).

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნაა ღია, ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, მოქალაქეზე ორიენტირებული ადმინისტრაციული მმართველობის ჩამოყალიბება. კონსტიტუციის დასახელებული დებულება მოითხოვს, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების იმგვარი პროცედურით მიღების წესის არსებობას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება პროცესის გამჭვირვალობა და მმართველობის სამართლიანობა. აუცილებელია, გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ფარგლებში მისაღები გადაწყვეტილების ბუნების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილების რაციონალურად, დროულად, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მიღების შესაძლებლობა. გადაწყვეტილების მიღების თანმიმდევრული, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურები, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რელევანტური გარემოებების მოკვლევა, საბოლოო ჯამში, სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობას ემსახურება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე

„ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ II-64).

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით განმტკიცებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება უზრუნველყოფს კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებას. სწორედ მმართველობის განხორციელების პროცესში ხდება მოქალაქეებისათვის სამართლებრივი ნორმების გაცნობა, განმარტება/გამოყენება. შესაბამისად, აუცილებელია მოქალაქეებთან ამგვარი დიალოგი, მათ მიმართ კანონების ინდივიდუალური აღსრულება და მათი კონკრეტიზაცია სამართლიანი პროცედურით ხდებოდეს. მოქალაქეებთან დაკავშირებული საქმეების სამართლიანად განხილვის ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ, გაზარდონ სამართლის რეპუტაცია და, ამ გზით, გააძლიერონ მის მიმართ საზოგადოების ნდობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ II-65).

9. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებაში ჩარევა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა ზღუდავს საქმის ადმინისტრაციულ ორგანოში დროულ და სამართლიან განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ II-66).

1.2. სადავო ნორმის შინაარსი, შესაფასებელი მოცემულობა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

10. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ჩარევა დადგინდება, თუ სადავო ნორმა შეზღუდავს ადმინისტრაციულ ორგანოში დროულ და სამართლიან განხილვასთან დაკავშირებულ რომელიმე პროცედურულ გარანტიას. ამისათვის, განსახილველ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა გაანალიზოს, სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, სადავო ნორმის და მასთან დაკავშირებული დებულებების შინაარსი, ხოლო მეორე მხრივ, დაადგინოს – ზღუდავს თუ არა გასაჩივრებული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოში დროულ და სამართლიან განხილვასთან დაკავშირებულ რომელიმე პროცედურულ გარანტიას (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 15 დეკემბრის №3/5/1502,1503 გადაწყვეტილება საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი და თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ II-66).

11. სადავო ნორმის მიხედვით, „ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება სამინისტრომ უნდა განიხილოს საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვისა“. მეორე მხრივ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ჩვეულებრივი წესით განიხილება, მისი რეგისტრაციიდან 6 თვის ვადაში. აღნიშნული მუხლი, გამონაკლისის სახით, ასევე ითვალისწინებს, მათ შორის, რთული ფაქტობრივი და იურიდიული გარემოებების არსებობისას, ამ ვადის 9 თვით გაგრძელების შესაძლებლობას. ამავე მუხლით დადგენილია ისიც, რომ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 21 თვეს.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ გასაჩივრებული ნორმით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისთვის დადგენილია სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის, დაჩქარებულ - ერთთვიან ვადას. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, უნდა შემოწმდეს ზღუდავს თუ არა აღნიშნული წესი მოსარჩელის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებასთან დაკავშირებულ რომელიმე პროცედურულ გარანტიას.

13. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანი განხილვის უფლებას. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე ადმინისტრაციული წარმოების ერთთვიანი ვადა არ წარმოადგენს საკმარისი დროის პერიოდს, რათა განმცხადებელმა

უზრუნველყოს თავისი პოზიციის გასამყარებლად აუცილებელი მტკიცებულებების მოძიება და ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა მიუთითა რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ერთთვიან ვადაში, მოსარჩელე მოკლებულია შესაძლებლობას, წარმოშობის ქვეყნიდან გამოითხოვოს საერთაშორისო დაცვისთვის საჭირო მასალები.

14. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლები ადგენს პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებას როგორც საქართველოში შემოსვლისას, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას, ასევე უშუალოდ სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მოითხოვოს საერთაშორისო დაცვა და ამის შესახებ თავის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე აცნობოს სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, პენიტენციური დაწესებულების ან სხვა საპატიმრო დაწესებულების უფლებამოსილ თანამდებობის პირებს. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე და 71-ე მუხლები ადგენს პირის მიერ საქართველოს პროკურატურაში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებას და საქართველოს პროკურატურის ვალდებულებას, საექსტრადიციო პროცედურების განხორციელებისას ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებულ პირს, მისთვის გასაგებ ენაზე, წერილობით განუმარტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლების შესახებ ინფორმაცია. პირმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით უფლებამოსილ ორგანოს უნდა მიმართოს მისთვის გასაგებ ენაზე, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. საქართველოს პროკურატურა დაუყოვნებლივ აწვდის სამინისტროს საექსტრადიციო პროცედურაში მყოფი პირის საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას. საქართველოს პროკურატურა ასევე აწვდის სამინისტროს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საექსტრადიციო დოკუმენტაციას.

15. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმისა და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პირის განცხადების განხილვის ერთთვიანი ვადა აითვლება არა პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის დღიდან, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პროკურატურიდან საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღების მომენტიდან, რაც განსახილველ საქმეზე წარმომადგენლის სახით მოწვეულ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილის, თამთა ზაალიშვილის განმარტებით, შესაძლოა განხორციელდეს მყისიერად, რამდენიმე დღეში ან 10 დღემდეც გაგრძელდეს. აღნიშნული გარემოება თავშესაფრის მაძიებელს, ასევე აძლევს დამატებით დროს, რათა დაკავებასა და ფორმალური პროცედურის დაწყებამდე პერიოდში, მოემზადოს პროცესისთვის, გაიაროს კონსულტაცია ადვოკატთან და ჩამოაყალიბოს საკუთარი არგუმენტაცია.

16. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განიხილება ჩვეულებრივი ან დაჩქარებული წესით. ხოლო ამავე კანონის 27-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, განცხადების დაჩქარებული წესით განხილვისას გამოიყენება ჩვეულებრივი წესით განხილვისთვის დადგენილი ყველა მოთხოვნა და პროცედურა. საქმის არსებით განხილვაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილის, თამთა ზაალიშვილის განმარტებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული თავშესაფრის მაძიებლის მიმართ, ისევე როგორც სხვა თავშესაფრის მაძიებლის მიმართ, მოქმედებს იდენტური სტანდარტი და იდენტური თავშესაფრის პროცედურა.

17. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის პროცედურა რეგლამენტირებულია, როგორც „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ისე „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებით.

18. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საერთაშორისო დაცვაზე განცხადება უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა შეისწავლონ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლები შეისწავლება

ერთიანი პროცედურით, თანამიმდევრულად, ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძვლების შესწავლა-შეფასებით. თუ თავშესაფრის მაძიებელი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ პირობებს, პროცედურა გრძელდება ამ კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლების შესწავლა-შეფასებით.

19. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-19 მუხლებით რეგლამენტირებულია პირისთვის ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლები. კერძოდ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით. ხოლო, ხსენებული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონის მე-15 მუხლით განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას იგი, მათ შორის, წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სიკვდილის დასჯის საფრთხის წინაშე დადგება.

20. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 35-ე მუხლებით და, ასევე, „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებითა და შესაბამისი დანართებით, გათვალისწინებულია საერთაშორისო დაცვაზე პირის განცხადების განხილვის ორი ეტაპი: ანკეტის შესავსებად გასაუბრება და შემდგომ, თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრება. ანკეტირების მასალების სიზუსტის უზრუნველსაყოფად ანკეტირება ტარდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით. ანკეტის შესავსებად გასაუბრება ტარდება პირის ყველა სრულწლოვან ოჯახის წევრთან ინდივიდუალურად, უფასო თარჯიმნის დახმარებით, სადაც, მათ შორის, უნდა მიეთითოს, რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს პირს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტით, თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრების მიზანია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებების დადგენა, რომლებიც მოიცავს თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების და დაუბრუნებლობის მიზეზების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე სხვა ინფორმაციას, რომლითაც შეიძლება დადგინდეს პირზე საერთაშორისო დაცვის გავრცელების საჭიროება.

21. საქმის არსებით განხილვის სხდომაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, თამთა ზაალიშვილმა განმარტა ზოგადად, პრაქტიკაში როგორ და საშუალოდ რა დროში ხორციელდება ზემოთ ხსენებული ანკეტირებისა და გასაუბრების პროცესი. კერძოდ, მისი მითითებით, ანკეტირების პროცედურას შესაძლებელია დასჭირდეს ერთი დღე, ან რამდენიმე საათი. ამისთვის მოსამზადებლად სპეციალისტს, შეიძლება დასჭირდეს საშუალოდ ერთი სამუშაო დღე. აღნიშნულის შემდეგ, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ხდება სპეციალიზირებული განყოფილების მიერ, რისთვისაც დადგენილია 5 დღიანი ვადა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ 5-დღიან ვადაში, ერთი სპეციალისტი, ერთ საკითხთან დაკავშირებით ახდენს ინფორმაციის მოძიებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, გასაუბრებისთვის მომზადებას, ასევე რამდენიმე სამუშაო დღე სჭირდება და გადაწყვეტილების მიღებასაც, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა დასჭირდეს 2 ან 3 სამუშაო დღე. ამდენად, წარმომადგენლის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია 6 თვიანი ვადა საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების ჩვეულებრივი წესით განხილვისათვის, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სპეციალისტი კონკრეტული თავშესაფრის მაძიებლის განცხადებას უწყვეტად, ყოველდღიურ რეჟიმში განიხილავს მთელი 6 თვის განმავლობაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული 6 თვიანი ვადა შესაძლებლობას იძლევა, სპეციალური შემთხვევები, მათ შორის, ექსტრადიციის საქმეები, განიხილებოდეს პრიორიტეტულად, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა იმ პროცედურული გარანტიით, რაც ზოგადად საერთაშორისო დაცვის განცხადების პროცესისთვის არის გათვალისწინებული.

22. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენის ვალდებულება თანაბრად ნაწილდება თავშესაფრის მაძიებელსა და უფლებამოსილ თანამდებობის პირს შორის. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა არსებითი ფაქტობრივი გარემოება და წარმოდგენილი მტკიცებულებები ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად უნდა შეაფასოს. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით, შესაბამისი შეკითხვების დასმით, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა ხელი უნდა შეუწყოს თავშესაფრის მაძიებელს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი ინფორმაციის (მათ შორის, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის) და მტკიცებულებების სრულყოფილად წარდგენაში.

23. სასარჩელო მოთხოვნიდან და მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტებიდან აშკარაა, რომ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა საკმარისი არ არის ადმინისტრაციულ ორგანოში დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოსადგენად, თუმცა, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა, რომ კანონმდებლობით, დოკუმენტაცია არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს პირისთვის თავშესაფრის მისანიჭებლად. აღნიშნულის დასასაბუთებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, მიუთითა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლსა და „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანების მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებზე.

24. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული ცალკეული საფუძვლები შესაბამისი დოკუმენტური ან სხვა მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, ასეთ გარემოებებს არ სჭირდება დამტკიცება შემდეგი გარემოებების ერთობლივად არსებობის შემთხვევაში: ა) თავშესაფრის მაძიებელმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დასასაბუთებლად მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენა; ბ) თავშესაფრის მაძიებელმა წარადგინა საქმის განხილვისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაცია, ამასთანავე, დამაკმაყოფილებლად ახსნა სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის არარსებობა; გ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია თანამიმდევრულია, დამაჯერებელია და არ ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ინფორმაციას; დ) თავშესაფრის მაძიებელმა საერთაშორისო დაცვა მოითხოვა ასეთი შესაძლებლობის გაჩენისთანავე, თუ მის მიერ არ იქნა წარდგენილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემაფერხებელი მიზეზები; ე) დადგინდა თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციის ზოგადი სანდოობა. „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანების მე-17 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, თავშესაფრის მაძიებელმა უნდა განმარტოს დოკუმენტაციის წარუდგენლობის მიზეზი, რომელიც შეიტანება ანკეტის ფორმაში და ასევე დაუშვებელია, თავშესაფრის მაძიებლისთვის შეთავაზებულ იქნეს დოკუმენტაციის მოსაპოვებლად წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებასთან დაკავშირება, ან ისეთი ქმედების ჩადენა, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს წარმოშობის ქვეყანაში მყოფ მის ოჯახის წევრებს ან ახლობლებს.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მითითებით, დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი თავშესაფრის მისაღებად და საერთაშორისო დაცვის პროცედურის მთავარი მიზანია თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის, თანმიმდევრულობისა და დამაჯერებლობის შეფასება. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პირებს, მათ შორის, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირებს, საერთაშორისო დაცვა მიენიჭათ დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, მხოლოდ სანდო და თანმიმდევრული ზეპირი ჩვენების საფუძველზე.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის სრულყოფილად და ყოველმხრივი გამოკვლევის ვალდებულებისაგან და არ ახდენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების გამორიცხვას. ამასთან ერთად, ვერც მოსარჩელე მხარემ შეძლო დაესაბუთებინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული 1-თვიანი ვადა ზღუდავდა ადმინისტრაციულ ორგანოში დროულ და სამართლიან განხილვასთან დაკავშირებულ მის რომელიმე პროცედურულ უფლებას. შეკვეცილი ვადის მიუხედავად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაიაროს კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურული ეტაპი, მათ შორის, დეტალური

ანკეტირება და სიღრმისეული გასაუბრება, შეაფასოს წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობა და თანმიმდევრულობა, შეისწავლოს წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ვითარება და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღოს. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ნორმა არ ზღუდავს მოსარჩელის ადმინისტრაციულ ორგანოში დროულ და სამართლიან განხილვასთან დაკავშირებულ რომელიმე პროცედურულ გარანტიას.

2. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

2.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლების დაცული სფერო

27. სამართლის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმა-პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი ახდენს არა მხოლოდ თანასწორობის ძირითადი უფლების რეგლამენტირებას, არამედ წარმოადგენს თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, „რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

29. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს, საგნობრივად თანასწორ გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-68; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

30. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში ... დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, თანასწორობის კონსტიტუციური უფლების მიზანს არ წარმოადგენს პირთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა ან/და მათი ხელოვნური, მექანიკური გათანაბრება. თანასწორობის უფლება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სუბიექტთა მიმართ თანაბარი მოპყრობა, რაც შედარებადი პირების მიმართ ერთნაირი მოთხოვნების დაწესებაში, თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ვალდებულებაში გამოიხატება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). მაშასადამე, აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპის ზოგადი დატვირთვა ვლინდება სახელმწიფოს ვალდებულებაში, რომ თანასწორი სუბიექტები ერთმანეთისაგან არ განასხვაოს და ფორმალურად არ დაუდგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი, არ დააკისროს მათ არათანაბარი სამართლებრივი ტვირთი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

32. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დადგენილი მოთხოვნები იზღუდება, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმა არსებითად თანასწორ პირებს ანიჭებს განსხვავებულ შესაძლებლობებს, აღჭურავს განსხვავებული უფლებებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

2.2. სადავო ნორმის შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობა და თანასწორობის უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

33. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირის მიერ საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის ვადას, რომელიც შეადგენს საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთ თვეს. ამავე კანონის 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ადგენს საერთაშორისო დაცვის განცხადების ჩვეულებრივი წესით განხილვის ვადებს, რომელიც შეადგენს 6 თვეს და რომელიც, გამონაკლის შემთხვევებში, არ უნდა აღემატებოდეს 21 თვეს.

34. განსხვავებული მოპყრობა საერთაშორისო დაცვის მაძიებელ პირებს შორის გამოწვეულია განცხადების განხილვის ვადების სხვაობით. კერძოდ, განცხადების ჩვეულებრივი წესით განხილვას სჭირდება 6 თვე. გამონაკლისის სახით, კანონმდებლობა აგრეთვე ითვალისწინებს ამ ვადის არაუმეტეს 21 თვემდე გაგრძელების შესაძლებლობას. სადავო ნორმით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის შემთხვევაში ეს ვადა მხოლოდ ერთ თვეს შეადგენს.

35. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, უთანასწორო მოპყრობის არსებობა, თავისთავად, საკმარისი არ არის კონსტიტუციით აკრძალული დისკრიმინაციული მოპყრობის დასადგენად. „დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბერუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-19). ამდენად, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა ხორციელდებოდეს არსებითად თანასწორი პირების მიმართ. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად წარმოადგენს შესადარებელ პირთა წრე, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისთვის, არსებითად თანასწორ სუბიექტებს.

36. როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში შესადარებელ სუბიექტებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, საერთაშორისო დაცვის განცხადების წარმდგენი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო დაცვის განცხადების ჩვეულებრივი წესით წარმდგენი პირები.

37. მოპასუხის პოზიციით, დასახელებულ პირთა არსებითად თანასწორობას გამორიცხავს

ექსტრადიციის პროცედურის არსებობა, რომელიც განსხვავებულ სამართლებრივ მოცემულობას ქმნის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირებისთვის და მიუთითებს საერთაშორისო დაცვის პროცედურის ფარგლებში მათი განცხადების განხილვის პრიორიტეტულობაზე.

38. აღსანიშნავია, რომ შესადარებელი სუბიექტების განსხვავებული სამართლებრივი სტატუსი, თავისთავად, არ გამორიცხავს მათ არსებითად თანასწორი სამართლებრივი ინტერესის არსებობას. ამ დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა შესადარებელი პირების პროცესუალურ ან ფაქტობრივ მდგომარეობას, არამედ მათ სამართლებრივ ინტერესს, თანაბარი უფლებრივი მდგომარეობის მიმართ. ამგვარად, სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, საერთაშორისო დაცვის მომთხოვნ პირებს აერთიანებს თანაბარი სამართლებრივი ინტერესი, გააჩნდეთ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ უფლებამოსილი ორგანო მათ განცხადებას განიხილავს გონივრულ ვადაში, ობიექტურად და ყოველმხრივ. ის გარემოება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი პარალელური სამართლებრივი რეჟიმის სუბიექტია, არ ახდენს გავლენას პირის აღნიშნულ სამართლებრივ ინტერესებზე და, შესაბამისად, არ გამორიცხავს მის არსებითად თანასწორ სუბიექტად განხილვის შესაძლებლობას სხვა განმცხადებლებთან შედარებით.

39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, საქმეში იდენტიფიცირებულ შესადარებელ სუბიექტებს (ექსტრადიციას დაქვემდებარებულ და სხვა განმცხადებლებს) გააჩნიათ არსებითად თანასწორი სამართლებრივი ინტერესი, საერთაშორისო დაცვის თაობაზე მათი განცხადება, სათანადო ვადებში იქნეს განხილული.

40. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებულია არსებითად თანასწორი პირების (საერთაშორისო დაცვის განცხადების წარმდგენი, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები და საერთაშორისო დაცვის განცხადების ჩვეულებრივი წესით წარმდგენი პირები) მიმართ უთანასწორო მოპყრობა და სახეზეა სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა.

2.3. შეზღუდვის კონსტიტუციურობა

2.3.1. შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასების ტესტი

41. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია, დემოკრატიულ სახელმწიფოში მისი შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

42. დამკვიდრებული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ან შეფასების მკაცრ ტესტს. საკითხი, თუ რომელი მათგანით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ, წყდება სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის, ჩარევის ინტენსივობისა და დიფერენცირების ნიშნის გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/4/603 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-8). კერძოდ, თუ არსებითად თანასწორ პირთა დიფერენცირების საფუძველია კონსტიტუციის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშანი ან სადავო ნორმა ითვალისწინებს უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას, სასამართლო გამოიყენებს შეფასების მკაცრ ტესტს.

43. ამდენად, მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნეს რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში

აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამომწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად.

44. არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული უფლებრივი რეჟიმის განსაზღვრა უკავშირდება იმ გარემოებას, ექვემდებარება თუ არა პირი ექსტრადიციას საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობა შესადარებელ პირებს შორის ხორციელდება საპროცესო სტატუსის ნიშნით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში სახელდებით მოხსენიებული არ არის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის დიფერენცირების შესაფასებლად მკაცრი ტესტის გამოყენების პირველი საფუძველი.

45. ვინაიდან სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება არ უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე კლასიკურ ნიშანს, სასამართლოს მიერ მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენება დამოკიდებულია დიფერენცირების ინტენსივობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დიფერენცირების ინტენსივობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ „არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან, დიფერენცირება რამდენად მკვეთრად დააცილებს ამ უკანასკნელთ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებიდან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება, II-25).

46. როგორც უკვე აღინიშნა, სადავო ნორმა ადგენს საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის განსხვავებულ ვადას ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებული პირების მიმართ, რომელიც ერთ თვეს შეადგენს, განსხვავებით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ჩვეულებრივი წესით განხილვის 6-თვიანი ვადისგან. კანონმდებლობა, გამონაკლისის სახით, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე ითვალისწინებს აღნიშნული ვადის გაგრძელების შესაძლებლობასაც, რომელიც 21 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

47. ამ გადაწყვეტილებით, ზემოთ უკვე დადგინდა, რომ სადავო ნორმა არ ზღუდავს მოსარჩელის ადმინისტრაციულ ორგანოში დროულ და სამართლიან განხილვასთან დაკავშირებულ რომელიმე პროცედურულ გარანტიას. მართალია, იგი ადგენს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განცხადების დაჩქარებული წესით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ერთი თვის ვადაში განხილვის ვალდებულებას, თუმცა, პროცედურული თვალსაზრისით, განმცხადებლებს შორის განსხვავებას მხოლოდ განცხადების განხილვის ვადები წარმოადგენს და არსებითად თანასწორი პირების მიმართ მოქმედებს იდენტური განცხადების განხილვის პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს მიმართვის, ანკეტირებისა და გასაუბრების ეტაპებს.

48. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი სასამართლოს ავალდებულებს საქმის გარემოებათა სრულ და ობიექტურ გამოკვლევას და ადგენს ინკვიზიციურობის პრინციპს (მე-4 და მე-19 მუხლები), რომელიც ითვალისწინებს, მათ შორის, არსებითად ახალი მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევის შესაძლებლობას საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ასევე სასამართლოს ინიციტივით. იმ შემთხვევაში, თუ პირს ობიექტური მიზეზებით, არსებითად გაურთულდა მტკიცებულებების მოპოვება განცხადების ადმინისტრაციული განხილვის პერიოდში, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, მას უნარჩუნდება ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა სასამართლო განხილვისას, მათ შორის, სააპელაციო სასამართლოშიც. ამასთანავე, თუ პირი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს მტკიცებულების მოპოვებას, სასამართლო, მხარის შუამდგომლობით ან/და საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია, თავად გამოითხოვოს საქმისთვის რელევანტური ინფორმაცია. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება სრულყოფილ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას დაეფუძნოს და არა მხოლოდ ადმინისტრაციული განხილვისას არსებულ მასალებს. შესაბამისად, ზემოაღნიშნული შესადარებელი პირები, საერთაშორისო დაცვის განცხადების განხილვის პროცედურის ფარგლებში არ იმყოფებიან მკვეთრად განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში, რადგან სადავო ნორმა ადმინისტრაციული წარმოებისას არ ზღუდავს მოსარჩელის პროცედურულ გარანტიებს და მას არსებითად ახალი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა სასამართლო განხილვის ეტაპზეც რჩება. აღნიშნულის გათვალისწინებით,

დიფერენცირების ინტენსივობა არ აღწევს იმ ხარისხს, რომ უთანასწორობა შეფასდეს „მკაცრი ტესტის“ გამოყენებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დიფერენცირებული მოპყრობის კონსტიტუციურობას შეაფასებს „რაციონალური დიფერენცირების“ ტესტით.

2.3.2. დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობა

49. „დიფერენცირებული მოპყრობის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლებისათვის საჭიროა სადავო ნორმამ დააკმაყოფილოს რაციონალური დიფერენცირების ტესტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთება, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

50. განსახილველ საქმეზე უნდა დადგინდეს სადავო ნორმით განსაზღვრული დიფერენცირების საჭიროება და ის გარემოება, არსებობს თუ არა რეალური და რაციონალური კავშირი დიფერენცირების ობიექტურ მიზეზსა და სადავო ნორმების მოქმედებით მიღწეულ შედეგს შორის.

51. მოპასუხე მხარემ სადავო ნორმის ლეგიტიმურ საჯარო მიზნად დაასახელა ექსტრადიციის პროცედურის ეფექტიანად განხორციელება, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიერ საერთაშორისო დაცვის პროცედურის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის მინიმალიზება. ექსტრადიცია სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკვანძო მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც პარტნიორ სახელმწიფოებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება. ექსტრადიციის ეფექტიანი და დროული წარმართვა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს მტკიცებულებების ხელმისაწვდომობის და ხარისხიანობის უზრუნველყოფას და დროული მართლმსაჯულების აღსრულებას. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის გივი ბაღდავაძის განმარტებით, სადავო ნორმის მიღებამდე არსებული პრაქტიკით, საერთაშორისო დაცვის პროცედურები, ხშირად სცდებოდა საექსტრადიციო პატიმრობის 9-თვიან ვადას, რაც იწვევდა ბრალდებული/მსჯავრდებული პირების პატიმრობიდან გათავისუფლებას და მათ მართლმსაჯულებისგან მიმალვას. პროკურატურის წარმომადგენლის მითითებით, სისხლის სამართლის თანამშრომლობის სფეროში მოქმედებს ნაცვალგების პრინციპი და თუკი ერთი სახელმწიფო არაეფექტიანად ასრულებს მოვალეობებს, მეორე სახელმწიფოს შეუძლია აღარ დააკავოს საქართველოს მიერ ძებნილი პირი და აღარ მოხდეს მისი გადმოცემა, რასაც მძიმე ეფექტი აქვს მართლმსაჯულების აღსრულებაზე. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დროული და ეფექტიანი ექსტრადიციის პროცედურა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს.

52. აღსანიშნავია, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, საექსტრადიციო პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ასევე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილი არ არის, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება პირის ექსტრადიციის შესახებ, სანამ სრულად არ ამოიწურება საერთაშორისო დაცვის პროცედურა. ეს უკანასკნელი მოიცავს არა მხოლოდ საერთაშორისო დაცვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, არამედ, მისი გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო განხილვის ყველა ინსტანციას (პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს), საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

53. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი ადგენს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ჩვეულებრივი წესით განხილვის ვადებს, რომელიც შეადგენს განცხადების რეგისტრაციიდან 6 თვეს. აღნიშნული ვადა, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 9 თვით, თუ საქმეში გამოვლინდა რთული ფაქტობრივი და იურიდიული საკითხები ან, თუ ერთდროულად შესულია განცხადებების დიდი რაოდენობა, რაც ართულებს მათ დროულ განხილვას. კანონი, გამონაკლისის სახით, უშვებს ვადის დამატებით, 3 თვით გაგრძელების შესაძლებლობას, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, განცხადების ადეკვატურად და სრულყოფილად განხილვის უზრუნველსაყოფად.

ამასთანავე, ნორმა ითვალისწინებს განხილვის გადავადებას, თუ წარმოშობის ქვეყანაში არსებული გაურკვეველი ვითარება შეუძლებელს ხდის საქმის არსებით შესწავლას. ასევე დადგენილია, რომ განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი წარდგენიდან 21 თვეს.

54. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის შესახებ, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში. აღნიშნულს იმეორებს, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 21^{24} მუხლი, რომლის თანახმად, საერთაშორისო დაცვის მქონე პირს ან თავშესაფრის მაძიებელს შეუძლია, სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში. 21^{25} მუხლის მიხედვით, საქალაქო სასამართლო დავას იხილავს 2 თვის განმავლობაში, სააპელაციო საჩივარი კი განიხილება 1 თვეში. სააპელაციო საჩივარი მხარემ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 15 დღეში უნდა შეიტანოს.

55. აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით განსაზღვრული განცხადების, ჩვეულებრივი წესით, განხილვის ვადები, სასამართლო სამართალწარმოების ვადებთან ერთად, შესაძლოა მნიშვნელოვნად აღემატებოდეს საექსტრადიციო პატიმრობის 9-თვიან ზღვარს. შესაბამისად, საერთაშორისო დაცვის ჩვეულებრივი პროცედურის გამოყენების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებული გახდებოდა, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა თავშესაფრის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, რაც შექმნიდა მართლმსაჯულებისგან პირთა მიმალვისა და ექსტრადიციის პროცედურის განუხორციელებლობის რეალურ რისკებს.

56. ამგვარად, პირის თავშესაფრის უფლება და ექსტრადიციის პროცედურა მყარად ურთიერთკავშირში მყოფი, დამოკიდებული პროცედურებია და შემჭიდროებული ვადა, თავის მხრივ, ემსახურება ს აერთაშორისო დაცვის პროცედურის საექსტრადიციო პატიმრობის 9-თვიან პერიოდში დასრულებას და ექსტრადიციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვას, პირის მიმალვის რისკების გარეშე. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლის განმარტებით, რეფორმამდელ პერიოდში, საექსტრადიციო პატიმრობიდან გათავისუფლებულ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიმალა, აღნიშნული პირების მიმართ ექსტრადიცია ვერ აღსრულდა და, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ვერ იქნა შესრულებული. საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვა, ერთთვიან ვადაში, ქმნის რეალურ შესაძლებლობას, რომ თავშესაფრის პროცედურა (სასამართლო პროცედურების ჩათვლით) დასრულდება საექსტრადიციო პატიმრობის მაქსიმალურ ვადაში. შესაბამისად, სადავო ნორმა მნიშვნელოვნად ამცირებს ალბათობას, რომ თავშესაფრის პროცედურის გაჭიანურების გამო, პირი გათავისუფლდეს პატიმრობიდან და მიემალოს მართლმსაჯულებას, რითაც უზრუნველყოფს ექსტრადიციის პროცედურის შეუფერხებელ წარმართვას.

57. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ განსახილველ საქმეზე უთანასწორობა ემყარება ობიექტურ მიზეზებს და არსებობს რაციონალური კავშირი გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანს შორის. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო პროცედურა არ არის დისკრიმინაციული და „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს.

III
სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
ა დ გ ე ნ ს:

1. არ დაკმაყოფილდეს №1592 კონსტიტუციური სარჩელი („იბრაჰიმ მუხტაროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

2. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

5. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის წევრები:

მანანა კობახიძე

ირინე იმერლიშვილი

თეიმურაზ ტუღუში